ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF LAGODEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **92-922313819**
თარიღი: **18/05/2023**

ადრესატი: ჯუმბერ ბერიძიშვილი
პირადი ნომერი: 01001087235
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ჯაბიძის ქ N 14 , ბ-13

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი მიმდინარე წლის 08 მაისის N19/92231285-92 მომართვის პასუხად გაცნობებთ, 2022 წლიდან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის" პროგრამას დაემატა საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული პირველკურსელთა წახალისება ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, რომელიც დაიყო შემდეგი კლასიფიკაციით:

ა) ოქროს მედალოსანი სტუდენტი წახალისდება ერთჯერადად- 600 ლარის ოდენობით;

ბ) ვერცხლის მედალოსანი 500 ლარის ოდენობით;

გ) უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტი წახალისდება ერთჯერადად 400 ლარით;

პროგრამით სარგებლობა შეეძლებათ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც მომართავენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი დოკუმენტაციით:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის (სტუდენტის) პირადობის ასლი;

გ) საბანკო რეკვიზიტი.

დ) ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან პირის სასწავლებელში ჩარიცხვის თაობაზე;

ე) ცნობა საჯარო სკოლის დამთავრების შესახებ.

ვ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა ,,ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.“

2022 წლის მდგომარეობით უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისათვის განკუთვნილი წამახალისებელი პროგრამით ისარგებლა 150-მა სკოლადამთავრებულმა.

რაც შეეხება სტუდენტების წამახალისებელ პროგრამაზე გათვალისწინებულ ბიუჯეტს, იგი 2022 წელს შეადგენდა 115 000 ლარს, ხოლო 2023 წელს შეადგენს - 125 000 ლარს.

პატივისცემით,

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი